საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 106^1–106^3 მუხლები:

„მუხლი 106^1. მატარებლის მემანქანის მართვის მოწმობის პირობებისა და მემანქანის სერტიფიცირების წესების დარღვევა

1. მატარებლის მემანქანის მართვის მოწმობის პირობებისა და მემანქანის სერტიფიცირების წესების დარღვევა –

გამოიწვევს იურიდიული პირის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, განმეორებით ჩადენილი ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით.

3. მატარებლის მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც მემანქანის მართვის უფლება არ აქვს ან შეჩერებული აქვს, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

4. იგივე ქმედება, განმეორებით ჩადენილი ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

5. მატარებლის სამართავად გადაცემა იმ პირისთვის, რომელსაც მემანქანის მართვის უფლება არ აქვს ან შეჩერებული აქვს, –

გამოიწვევს იურიდიული პირის დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით.

6. იგივე ქმედება, განმეორებით ჩადენილი ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 106^2. საქართველოს სარკინიგზო კოდექსით გათვალისწინებული სარკინიგზო უსაფრთხოების წესის დარღვევა

1. საქართველოს სარკინიგზო კოდექსით გათვალისწინებული სარკინიგზო უსაფრთხოების წესის დარღვევა –

გამოიწვევს იურიდიული პირის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 106^3. სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის წესის დარღვევა

1. სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის წესის დარღვევა –

გამოიწვევს იურიდიული პირის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.“.

2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 211^1 მუხლი:

„მუხლი 211^1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო

ამ კოდექსის 106^1–106^3 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს უფლებამოსილ პირს.“.

3. 239-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 11^1 ნაწილი:

„11^1. ამ კოდექსის 106^1–106^3 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს უფლებამოსილი პირი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

31 მაისი 2023 წ.

N3000-XIმს-Xმპ